

ისლამამდელი არაბული კასიდას ფორმა და ფუნქცია

კასიდა არაბული ლექსის ფორმაა, რომელიც ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ ისლამამდელ პერიოდში და XIX საუკუნემდეც კი იარსება, ის არის მყარი სალექსო ფორმა, თუმცა ამავდროულად მასში პოეტს ქონდა თავისუფალი ვარიაციების საშუალება, სწორედ ამან შეუწყო ხელი მისი არსებობის ასეთ დიდ ისტორია, რადგან ფორმასთან ერთად, მან შეიძინა ის დიდი ფუნქცია, რამაც განაპირობა პოეზიის დიდი როლი, არაბული სამყაროს ისტორიასა და კულტურაში.

ისლამამდელი არაბული ლიტერატურის შესწავლას მრავალი სამეცნიერო ნაშრომი აქვს მიძღვნილი, გარდამტეხი იყო 1970 წლებში გამოცემული კვლევები, სადაც საბოლოოდ უარყოფილ იქნა აზრი მისი არაავთენტურობაზე, ეს საკითხი პირველად წინ წამოწია XIX საუკუნის გერმანელმა არაბისტმა ვ. ალვარდტიმ. ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა XX საუკუნის ინგლისელი მკვლევარის დ. ს. მარგოლიუსის სტატიისა [5, 417-449] და ეგვიპტელი მწერლის, კრიტიკოსისა და მეცნიერის ტაჰა ჰუსეინის წიგნის გამოსვლის შემდეგ. მათ ისლამამდელი პოეზია მიიჩნიეს შუა საუკუნეების არაბი ფილოლოგების ფალსიფიკაციად.

მათ მოსაზრებებს დაუპირისპირდა ინგლისელი მეცნიერი მონროუ, თავის 1972 წლის კვლევაში "ზეპირი ფორმულირება ისლამამდელ პოეზიაში" შემდეგი მტკიცებულებებით. კერძოდ, როგორც ცნობილია, ცნობილმა მეცნიერმა მ. პარიმ, რომელიც სწავლობდა ჰომეროსს და საერთოდ ზეპირ ლექსს, მეორე მეცნიერ ა.ბ.ლორდთან თანამშრომლობით, დამაჯერებლად უჩვენა თუ რა ნიშნებით განსხვავდება ზეპირი პოეზია წერილობითი პოეზიისაგან [7, 98-130]. მათი კვლევის შედეგების საფუძვლიანი გამოყენებისა და მისი მისადაგების გზით ისლამამდელი და ისლამის დროინდელი პოეზიის მიმართ მონროუმ საბოლოოდ დამტკიცდა, რომ ისლამამდელი არაბული პოეზია ისლამის ჩასახვამდე და მცირე ხნით მომდევნო პერიოდში, გადაიცემოდა ზეპირი სახით, ე.წ. "რავიების", დეკლამატორების მეშვეობით, რასაც მოწმობს ასევე მათი კოლექტიური ხასიათი. მისი ჩაწერა კი დაიწყო VII საუკუნიდან, როდესაც სახალიფო გადაიშალა უზარმაზარ ტერიტორიაზე. საფრთხე შეექმნა ამ ზეპირი პოეტური თუ ისტორიული ძეგლების დაკარგვას, ამიტომ იქმნებოდა წერილობითი ჩანაწერები, რომლებიც შემდეგ იკრიბებოდა კრებულებად, დივნებად და ანთოლოგიებად, რისთვისაც შუა საუკუნეების არაბი ფილოლოგები ბევრს მოგზაურობდნენ არაბეთის ნახევარკუნძულზე.

ყოველივე ზემოთმთხილიდან გამომდინარე, ბუნებრივია იმ პერიოდებში მოღვაწე მეცნიერების მთელი ყურადღება მიმართული იყო, სწორედ აუთენტურობის საკითხისადმი, ისინი დაკავებულები იყვნენ მხოლოდ ცალკეული ლექსების თუ მთელი კრებულების ორიგინალურობის შესწავლით, მხოლოდ იმის მტკიცებით, არსებობდა თუ არა ესა თუ ის პოეტი მართლაც ისლამამდელ პერიოდში და ეკუთვნოდა თუ არა მას ჩვენამდე მოღწეული მისი ლექსები. აქცენტებიც ბუნებრივია კეთდებოდა იმ მოსაზრებების გაქარწყლებაზე, რომლებიც გამოთქმული იყო მარგოლიუსისა და ტაჰა ჰუსეინის მიერ. ამიტომ ლექსის ფორმის, რითმის და თემების შესწავლას არ აქცევდნენ შესაბამის ყურადღებას, მაშინ როდესაც მარგოლიუსმა სწორედ ლექსის ფორმის, "კასიდის" მეშვეობით დაამტკიცა თუ როგორ

განსხვავდებოდა ზეპირი ლექსი ჩაწერილისაგან, რადგან "კასიდის" ფორმა იძლევა იმის საშუალებას, რომ კარგად დავინახოთ მასში არსებული ის კოლექტიური ელემენტები და ზეპირისტყვიერება, რაც გამოიკვლია პარი-ლორდის ზეპირისტყვიერების თეორიამ, რომლებიც სწავლობდნენ ჰომეროსს და საერთოდ ზეპირ ლექსს და დამაჯერებლად უჩვენებს თუ რა ნიშნებით განსხვავდება ზეპირი პოეზია წერილობითი პოეზიისაგან. ამიტომ ამ სტატიში შევეცდებით განვხილოთ კასიდის ფორმა კიდევ ერთხელ და განვსაზღვროთ მისი ფუნქცია ისლამამდელი პერიოდის საზოგადოებაში, რომელიც ცხოვრობდა ტომობრივი პრინციპებით და მათი ცხოვრებისათვის კოლექტიური ხასიათი დამახასიათებელია, რადგან არაბეთის ნახევარკუნძულის მკაცრ ბუნებრივ პირობებში გადარჩენისათვის, ესეთი სტილი ცხოვრებისა არის, გადარჩენის მხოლოდ ერთადერთი გზა.

ისლამამდელმა არაბულმა პოეზიამ იცის ლექსის ორი პოეტური ფორმა: კასიდა (قصيدة) და კიტ'ა (مقطوع) (مقطوع).

კიტ'ა (სალექსიკონო მნიშვნელობა „ნატეხი“) არის მცირე მოცულობის ნაწარმოები, რომელშიც ბეითთა რაოდენობა არ აღემატება თხუთმეტს. მისთვის დამახასიათებელია მარტივი კომპოზიცია და ერთი თემა. იგი შეიძლება ყოფილიყო, როგორც დამოუკიდებელი ნაწარმოები, ისე კასიდის ფრაგმენტი. ამ ფორმით სრულდებოდა უმეტესწილად მარსია (ელეგია), ჰიჯა' (სატირა, გაკილვა მტრისა ან მტრული ტომისა). ის ერთი საზომითა და ერთი რითმით იწერებოდა.

კასიდა (ნიშნავს რაიმე მიზნის მქონეს) არის დიდი მოცულობის, უფრო დასრულებული ლექსის ფორმა, ვიდრე კიტ'ა, რომელშიც ბეითთა რაოდენობა აღემატება თხუთმეტს. ჩვენამდე არ მოუღწევია 120 ბეითზე მეტ შემცველ კასიდას. მისი ფორმა, შეიქმნა V საუკუნის დასასრულსა და VI საუკუნის დასაწყისში და XX საუკუნემდე მოაღწია. პირველ შემქმნელად მიჩნეულია ისლამამდელი პოეზიის ყველაზე დიდი წარმომადგენელი იმრუ ლ-კასის ბიძა მუჰალჰილი, თუმცა მისი კასიდებისათვის არ არის დამახასიათებელი ის რთული კომპოზიცია, რითაც გამოირჩევა ლექსის ეს ფორმა.

კასიდამ გაიარა რა ფორმირების რამდენიმე სტადია, როგორც ისლამამდელ ისე ადრეული ისლამის პერიოდში, მიიღო დაკანონებული სახე, რასაც მოწმობს IX საუკუნის გამოჩენილი ფილოლოგის, იბნ კუთაიბას მიერ მისი თეორიული აღწერა, რომელიც მან შეიტანა თავის წიგნში: „წიგნი პოეზიისა და პოეტებზე“. თავდაპირველად უპრიანი იქნება მას გავეცნოთ: „მე მსმენია ზოგიერთი გამოჩენილი ლიტერატორისაგან - წერს იბნ კუთაიბა, რომ კასიდას ავტორი იწყებს ნაბინავარის აღწერით, ის ტირის, განიცდის სევდას, დამწუხრებულია, სიტყვით მიმართავს თავის მეგობარს, რომელიც მას თან ახლავს, რომ შეჩერდნენ, გამოიყენონ ეს შემთხვევა, რათა მოიგონონ ისინი, ვინც აქ ცხოვრობდნენ და დატოვეს ეს ადგილი, რადგან მომთაბარენი ძალიან განსხვავდებიან იმათგან, ვინც მუდამ ერთ ადგილზე სახლობს, ისინი გადადიან ოაზისიდან ოაზისებში, ეძებენ კარგ ადგილებს, მიდიან იქ სადაც არის წვიმა, სადაც ცხოვრება უფრო ადვილია და მოსახერხებელი, ვიდრე ძველი ადგილი. შემდეგ პოეტი გადადის ნასიბზე (შეიძლება ჩაურთოს ეროტიული სცენები), საუბრობს გრძნობების სიძლიერეზე, განშორებისაგან გამოწვეულ ტკივილზე, სიყვარულზე, როგორ განიცდის ამ სიყვარულს, ცდილობს თქვას მთელი თავისი გულისნადები და ამ ხერხით მსმენელის ყურადღება მიიპყროს. რადგან სასიყვარულო ლექსები ახლოა ადამიანის სულთან და გულთან, ღმერთმა ადამიანის (ამ შემთხვევაში მამაკაცის) გონებაში ჩადო სწრაფვა „ქალებისაკენ“, რადგან არ არსებობს ამ ქვეყანაზე მამაკაცი, ვისაც ეს არ განუცდია, როგორც აკრძალული, ისე ნებადართული. როდესაც პოეტი ხვდება, რომ უკვე მიიპყრო მსმენელის

ყურადღება, მაშინ ის თავის მონათხრობს პარალელურად მიაყოლებს თავის თავზე საუბარს: დაქვეითდება, დაიწყებს წუწუნს დაღლილობაზე, უძილობაზე, ღამით მგზავრობაზე, დღის მწველ სიცხეზე, თავისი ცხოველის (აქლემის ან ცხენის) ძალ-ღონის გამოღვევაზე. როდესაც მიხვდება, რომ მან ის უკვე (მსმენელი) დაავალდებულა და უკვე იცის თუ ვის უნდა მიმართოს, მაშინ გადადის მის განდიდებაზე, აქეზებს მას, რომ აუნაზღაუროს, აქეზებს გულუხვობაზე, ადიდება მას ისე, რომ თავის თავზე აღმატებულს გამოაჩენს. პოეტი, რომელიც ამ გზით მიდის და აბალანსებს ამ ნაწილებს, ის არის დიდი ხელოვანი. თავის ლექსებში ის არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილს არ აძლევს რაიმე უპირატესობას, არ აგრძელებს მათ, რომ არ მოაწყინოს მსმენელი და არც მოჰგლეჯს რაიმე ნაწილს, თუკი სულში არის გაგრძელების წყურვილი... მოგვიანო ხანის პოეტებს არ აქვს უფლება, რომ გადაუხვიონ ამ თემებს“ [6,1956: 251]. როგორც ვხედავთ იბნ კუთაიბას აღწერილი აქვს იდეალური, ასე ვთქვათ „ბედუინური“ კასიდა. მაგრამ რეალურად შეიძლება ითქვას, რომ ისლამამდელ პერიოდის კასიდა მთლად ასეთი დახვეწილიც არ იყო. ამ აღწერაში შეიმჩნევა „დაცვის“ ტენდენცია, თითქოსდა კუთაიბა იცავს ძველ არაბულ პოეზიას, მის თემებს, ჟანრობრივ სისტემას, რათა არ მოხდეს სხვა დაპყრობილი და კულტურულად უფრო მაღლა მდგომი ხალხების ზეგავლენა, უპირველესად ირანელებისა.

არაბული პოეზიის უმთავრეს სალექსო ფორმას, როგორც ისლამამდელ ისე მომდევნო პერიოდებში, როგორც ვხედავთ წარმოადგენს კასიდა. იგი არის დიდი მოცულობის, რთული კომპოზიციის, მრავალთემიანი ნაწარმოები, რომელიც შედგებოდა რამდენიმე ერთმანეთთან სუსტად დაკავშირებულ ან ერთმანეთთან საერთოდ დაუკავშირებელი ნაწილებისაგან. ის რამდენიმე თემას აერთიანებს: ნასიბი, ვასფი, მადჰი, ფახრი, მუფახარა, ჰიჯა', ხამრია, ტარდია, ჰიქმა. თემებს შორის კავშირი პირობითია. პოეტი ვალდებულია გაიაროს კასიდის დაკანონებული ნაწილები, თემები, მოტივები (საუბარია ისლამამდელ კასიდაზე). ესენია: ნასიბი – ვასფი – მადჰი ან მუფახარა, ან ორივე ერთად, ან ჰიჯა', ან მუფახარა და ჰიჯა' ერთად. ზოგჯერ მათში ჩართულია ხამრია, ტარდია, ჰიქმა (ბრძნული გამონათქვამები, აფორიზმები, ანდაზები). აქ არ გვხვდება მარსია.

ძველ არაბ პოეტებს, ასევე მსმენელებს, ლექსისადმი თავიანთი ესთეტიკური დამოკიდებულება ჰქონდათ. მათთვის მთავარი იყო არა შინაარსი, ან შინაარსისა და ფორმის ერთიანობა, არამედ ცალკეული სალექსო სტრიქონების ფორმა, ესე იგი ბეითების გამომსახველობა და პოეტური სრულყოფილება. ბეითები ცალკეულ ერთეულებს წარმოადგენდა. პოეტის აზრის გადმოსაცემად საკმარისი იყო ერთი ან ორი, მაქსიმუმ, სამი ბეითი. ამიტომ მისთვის აუცილებელი არ იყო ბეითებს შორის აზრობრივი კავშირი დაემყარებინა. ამასთანავე ცალკეული პოეტური სურათებიდან, თემებიდან გადასვლა ხდებოდა მოულოდნელად, ნახტომისებურად. პოეტური სურათები კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლებოდა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისლამამდელ პოეზიას არ ჰქონდა გამონაკლისი შემთხვევები. იყვნენ პოეტები, რომლებიც ახერხებდნენ ერთი თემიდან მეორეზე გადასვლას მაკავშირებელი სიტყვებით. მაგალითად, ტარაფა ნასიბიდან – ვასფზე, ხოლო ვასფიდან ფახრზე გადადის აზრობრივი მაკავშირებელი სიტყვებით ან ბეითებით. ძველი კასიდის ბეითების გამაერთიანებელი ძირითადად იყო ერთი რითმა და ერთიანი პოეტური საზომი. შუა საუკუნეების მკვლევარები, რომლებიც იკვლევდნენ კასიდას კომპოზიციის სტრუქტურას, ლექსის ასეთი აგებულება მიაჩნდათ იდეალურად (მაგალითად ზემოთ ხსენებულ იბნ კუთაიბას).

კასიდის პირველ ნაწილს წარმოადგენდა სატრფიალო შესავალი, ანუ ნასიბი, რომელიც იყო სევდიანი მოგონება გარდასული სიყვარულისა. თუ კასიდას ჰქონდა თავისი სტრუქტურა, ასევე შეიძლება ვიპოვოთ ნასიბშიც შინაგანი აგებულება. მასში ასახულია რამდენიმე მოტივი, მათ შორის ყველაზე ხშირად გვხვდება სამი მოტივი:

- 1.სატრფოს კარვის ნაშთების აღწერა.
- 2.სატრფოს ღირსებებისა და გარეგნობის აღწერა.

3.პოეტის მიერ თავისი დამოკიდებულების განსაზღვრა, სატრფოს სასიყვარულო კავშირებისადმი [1, 2018: 6].

ისლამამდელი პოეტები თავიანთ ნასიბში ძირითადად სამი ტიპის ქალის მშვენებას უმღერდნენ, კერძოდ: სატრფოს, ღვინის მიმწოდებელ, ანუ მწდე ქალებს, და მომღერალს, ან მოცეკვავეს, ან მხევალს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ როგორც ჯაჰილიის, ისე მომდევნო პერიოდის სასიყვარულო ლექსებში ვერ ვიპოვოთ ცოლისადმი მიძღვნილ სასიყვარულო ლექსს. ამ დროის პოეტთა ნასიბები ერთმანეთისაგან განირჩევა სატრფოსადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით, ზოგიერთს ახასიათებს ზომიერი, ზოგს კი უხამსი დამოკიდებულება. ზომიერნი თავს იკავებენ სატრფოს დეტალური, ფაქტობრივად, ფოტოგრაფიული აღწერისაგან, მეორენი კი, პირიქით, აქცენტს აკეთებენ მისი გარეგნობის დეტალური და სატრფიალო თავგადასავლების გადმოცემაზე.

ნასიბის შემდეგ პოეტი გადადის „აღწერაზე“ (ვასფზე). აღწერის ელემენტები ნასიბშიც მოიძებნება (შეყვარებულის პორტრეტი). თავისი შედგენილობით ვასფი უფრო მდიდარია, ვიდრე ნასიბი, რადგან აღსაწერი ბევრი რამ შეიძლება ყოფილიყო: აქლემი, არაბეთის ბუნება (მისი ფლორა და ფაუნა), მწველი მზე და ცივი ღამე, წვიმა და ქარიშხალი, ნადირობა. ეს იგივეა, რაც “პეიზაჟული ლირიკა”, რომელიც სავსეა შედარებების შესანიშნავი ნიმუშებით. ძველ არაბულ პოეზიაში ვასფი დამოუკიდებელი სახით იშვიათად გვხვდება. შემდგომში მან მნიშვნელოვანი მეტამორფოზა განიცადა და შუა საუკუნეების პოეტთა შემოქმედებებში მიიღო სასახლეების, ბაღების, სასიცოცხლო წყაროების და ყველა გასართობი თემის აღწერის სახე.

კასიდის მთავარი ნაწილი ისლამამდელ პერიოდში საკუთარი თავის ან ტომის ქებაა (ფახრი), ასევე მადჰი (ხოტბა, შექება), რომელმაც ისლამის პერიოდში სახალიფოს შექმნის შემდეგ ბევრად მეტი დატვირთვა შეიძინა. შეიძლება ეს ორივე მოტივი ერთად გვქონდეს ერთ კასიდაში.

ფახრი – ხშირად ამ ნაწილში პოეტი მოუთხრობს მსმენელს თავისი თავის ან ტომის შესახებ, მათ კეთილ საქმეებზე, მოწყალებაზე, აღწერს დიდებას, გამარჯვებებს, სიძლიერეს, თავს იქებს საკუთარი წარმომავლობით. არანაკლები ადგილი ეთმობა ტომის წინაშე საკუთარი დამსახურების ჩვენებას. პოეტი ხშირად თავის თავს იდეალად სახავდა თანატომელების შეგნებაში. ფახრში აშკარად ვლინდება პოეტის ტომობრივი პატრიოტიზმი.

მადჰი – აქ პოეტი ხოტბას ასხამს თავის მფარველს ან ვინმე დიდებულს, განადიდებს მას, უმღერის მის სხვადასხვა თვისებას: გულუხვობას, ვაჟკაცობას, ხელგამლილობას... ის ისლამამდელელებშიც პოპულარული იყო. მაგალითად, ზუჰაირის კასიდები, მიძღვნილი ჰარისისა და ჰარიმისადმი (მათ შერაიგეს ორი გადამტერებული ტომი). ჩამოყალიბებული მეხოტბე პოეტი იყო ან-ნაბილა ზუბიანი, რომელსაც აქვს მხოლოდ ორი კასიდა, რომლის ობიექტი მეფეები არ არის. იგი ფაქტობრივად პირველი კარის პოეტია.

ისლამამდელ არაბულ პოეზიას ახასიათებს საკმაოდ საონტერესო თავისებურებები. ეს პოეზია დღევანდელი ესთეტიკური მოთხოვნებით თუ მივუდგებით, შეიძლება ევროპელი მკითხველისთვის ნაკლებად მიმზიდველი იყოს, მაგრამ მისი ყველაზე დიდი ძალა და

მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ფაქტიურად ერთ-ერთი ავტორიტეტული წყაროა ამ ეპოქაში არაბი ხალხის დასახასიათებლად. მათი მეშვეობით მკითხველს შეუძლია წარმოიდგინოს არაბთა ტომობრივი საზოგადოების განვითარების კულტურის დონე, ზნე-ჩვეულებები, მათი სარწმუნოება, საყოფაცხოვრებო პირობები, აღადგინოს მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების სურათები. ჯაჰილიის პერიოდში ჩამოყალიბდა არაბული პოეტიკის რიგი დამახასიათებელი ნიშნებისა, რომელებიც მას მნიშვნელოვნად გამოარჩევს სხვა ქვეყნების პოეზიისაგან. ერთ-ერთი თავისებურებათაგანი, რომელიც ორიგინალობით გამოირჩევა და რომელმაც ღრმა კვალი დაამჩნია არაბთა პოეტურ აზროვნებას მთელი მისი ისტორიის მანძილზე, არის სიმბოლოების მეშვეობით პოეტური სახის (ხატის) შექმნის მეტად ორიგინალური და ამასთანავე მეტად რთული ხერხი. იგი მკითხველს, განსაკუთრებით კი საუკუნეების გასვლის შემდეგ, ურთულეს პრობლემებს უქმნიდა და დღესაც უქმნის მის სწორ ახსნა-გაგებაში. ამის შესახებ საინტერესოა მ. ქუთელიას სტატია, დაწერილი „მუალაკების“ ქართულ თარგმანთან დაკავშირებით. ის აღნიშნავს, რომ: „მთაგრმელს დამხმარედ ევლინებიან შუა საუკუნეების არაბი ფილოლოგები და კომენტატორები, რომლებიც იძლევიან რიგი სიტყვების განმარტებებს, რომლის გარეშე დღეს „მუალაკების“ ბევრი ადგილის გაგება შეუძლებელი თუ არა, ძალზე ძნელი იქნებოდა“ [2,2010: 230]. თავისებურება მდგომარეობდა იმაში, რომ ძველი არაბი პოეტები ხშირად ასახელებდნენ არა საგანს, რომელსაც აღწერდნენ, არამედ მის თვისებას, აქ არსებითი სახელი იცვლებოდა შესაბამისი ზედსართავი სახელით და იგი გვევლინებოდა საგნის ერთგვარ სიმბოლოდ.

1970-იან წლებში პირველად გაჩნდა მოსაზრება არაბული პოემის ინტერპრეტაცია სოციალურ-ისტორიული განზომილებით. ეს ტენდენცია საშუალებას იძლევა არაბული ლექსების ინტერპრეტაციას მათი სოციალურ-ისტორიული ფუნქციის გათვალისწინებით - არა მხოლოდ როგორც ფონური ან შესავალი მასალა, არამედ როგორც გასაღები მიზნის გასაგებად. ჯამელ ედდინ ბენჩეიხი, თავის 1977 წლის ესსეში, "ხალიფა ალ-მუთავაკქლის პოეტური ლატარია" [3]. არ ცდილობს რაიმე პოეტური ტექსტის ანალიზს, მაგრამ აღწერს, თუ როგორ ჩამოაყალიბა სახალიფოს პოლიტიკამ, ტრფობამ, სიამოვნებამ და ახირებამ კონკურენტული ატმოსფერო, რომელშიც პოეტები ასრულებდნენ მნიშვნელოვან როლს და წარმოაჩენდნენ თვითნებურ ნაწარმოებს იმ კონტექსტში, რაც მისაღები იყო მაშინდელი საზოგადოებისათვის. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ლექსი წარმოადგენდა იმ დროინდელი საზოგადოების გამოძახილს, როგორც მმართველ ისე დაბალ წრეებში. ანუ ჩანს, რომ ისლამამდელ პერიოდში შექმნილი ლექსის ფორმას ამ ყველაფერში, საკაოდ დიდი ადგილი ეკავა, ამიტომ აქედან გამოდინარე, ჩვენ თამამადა შეგვიძლია ვთქვათ, რომ კასიდა, არამარტო შუა საუკუნეებში იყო სახალიფოს კულტურული შრის ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი და მთავარი ფუნქციის მატარებელი, არამედ თავად ისლამამდელ პერიოდშიც უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა, როდესაც სოციალური ფონი გაცილებით სხვაგვარი იყო, ვიდრე ისლამის გავრცელების შემდეგ. უფრო მეტიც, რადგან ლექსები იქნებოდა იმ მოცემულობაში და ზუსტად აღწერდნენ იქ მიმდინარე მოვლენებს, მაშინ ბუნებრივია, რომ პოეტს, როგორც ტომის ორატორს ძალიან დიდი გავლენა ჰქონდა თავის ტომში, და კარგი ლექსისი დაწერის შემთხვევაში, პოპულარული ხდებოდა ტომის გარეთაც. ამიტომ ამ ყველაფერში ძირითადი ფუნქცია ეჭირა სწორედ კასიდის ფორმას, რომელიც ძალიან მოქნილი იყო თავისი დაკანონებული თემებით და დიდი როლი ითამაში მაშინდელი საზოგადოების ფორმირებაში. რადგან პოემა, ამ შემთხვევაში, ისლამადელი კასიდა სტრუქტურულ დონეზე, მორგებულია იმ პერიოდში არსებულ მორალურ, ესთეტიკურ და პოლიტიკურ ფუნქციებზე.

ლიტერატურა:

1. გარდავაძე დ., უზრიული ღაზალი და გადმოცემები უზრიელ პოეტ-მიჯნურებზე. თბილისი 2018 წ.
2. ქუთელია 2010 - ქუთელია მ. (2010). არაბული „მულაკებისა“ და „ათას ერთი ღამის“ ქართული თარგმანების შესახებ. ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, წელიწდეული II. საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი.
3. Bencheikh J.E. The Poetic Coterie of the Caliph Al-Mutawakkil (d. 247 H.): A Contribution to the Analysis of Authorities of Socio-Literary Legitimation. 1997.
4. Brill_-The_Encyclopaedia_of_Islam_Vol_4
5. Margoliouth D.S. The origins of Arabic poetry, New York and London 1925.
6. Крачковский И.Ю., Арабская поэзия. // Избранные сочинения. Т. II. Москва-Ленинград. 1956
7. Монроу Д.Т. Устный характер доисламской поэзии. сб. Арабская средневековая культура и литература. Москва. 1978.

Vakhtang Tevdoradze

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

Pre-Islamic Arabic *Qasida* 's Form and Function

Abstract

The Arabic *Qasida* is a very conventional piece of verse, with one rhyme, whatever its length, and in a uniform metre. Consequently, the charm and originality of certain of the themes employed cannot prevent boredom and monotony from reigning over these never-ending poems. These formal constraints were moreover resented by the poets themselves; they are without doubt the cause of the fragmentary character of many of the pieces, which took a particularly long time to compose. Tradition reports numerous examples of poets paralysed by the tyranny of the form. *Qasida* is a form of Arabic verse that was formed even in the pre-Islamic period and existed even until the 19th century. It went through several stages of formation, both in the pre-Islamic and early Islamic periods, this is what contributed to such a long history of its existence, because along with the form, it acquired the great function that led to the great role of poetry in the history and culture of the Arab world. The poem was an echo of the society of that time, both in the ruling and lower circles. In other words, it can be seen that the form of the poem created in the pre-Islamic period had a very large place in all of this, therefore, we can confidently say that the *Qasida* was not only in the Middle Ages one of the main drivers and carriers of the cultural layer of the Caliphate, but also in the pre-Islamic period itself. It held an important place when the social background was much different than after the spread of Islam. Moreover, since the poems would be in that context and accurately describe the events taking place there, then it is natural that the poet as the orator of the tribe had a great influence in his tribe, and if a good poem was written, it would become popular outside the tribe as well. Arabic *qaṣīda* means "intention" and the genre found use as a petition to a patron. A *qaṣīda* has a single presiding subject, logically developed and concluded. Often it is a panegyric, written in praise of a king or a nobleman, a genre known as *madīḥ*, meaning "praise". In his ninth-century "Book of Poetry and Poets" (*Kitab al-shi'r wa-al-shu'ara'*) the Arabian writer Ibn Qutaybah describes the (Arabic) *qasida* as being constituted of three parts.